

**კლიმატის ძირითადი ელემენტების ცვლილება
1955-1985 წლების პერიოდში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
ტერიტორიაზე**

ლიკა ცერცვაძე, ნია კანდელაკი

ელ-ფოსტა: lika.tsertsvadze008@ens.tsu.edu.ge

საქართველოს გეოგრაფია და ლანდშაფტური
დაგეგმარების კათედრა.

ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის
სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მისამართი: ი.ჭავჭავაძის გამზირი 1, თბილისი

1992-1993 წლის ომის და აფხაზეთის ოკუპაციის შემდგომ გავიდა 30 წელიწადზე მეტი. ამ ხნის განმავლობაში არავითარი მეტეოროლოგიური დაკვირვებები არ მიმდინარეობდა და დღემდე არ მიმდინარეობს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე (თუ მიმდინარეობს დაკვირვებები, ეს მონაცემები არაა ხელმისაწვდომი არც ჩვენთვის, არც საერთაშორისო სამეცნიერო თუ ფართო საზოგადოებისათვის). საომარ მოქმედებამდე და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპაციამდე იქ არსებულ 11 მეტეოროლოგიურ სადგურზე, კერძოდ, ბაბუშერა, ბიჭვინთა, გაგრა, გაგრის ქედი, გალი, კვეზანი, ოჩამჩირე, ფსხუ, ლათა, სოხუმი და გუდაუთა, მიმდინარეობდა რეგულარული მეტეოროლოგიური დაკვირვებები. სწორედ ამ მეტეოროლოგიურ სადგურთა მონაცემების საფუძველზე შესწავლილია 1955-1985 წლების პერიოდის განმავლობაში კლიმატის ძირითადი ელემენტების, კერძოდ, ტემპერატურისა და ნალექების საშუალო და ექსტრემალური მნიშვნელობების მრავალწლიური ცვლილება.

კვლევა განხორციელდა თსუ-ს სტუდენტური სამეცნიერო პროექტის: „კლიმატური ცვლილებების გამოკვლევა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1955-1985 წლების პერიოდის განმავლობაში მეტეოროლოგიური დაკვირვებათა მონაცემების საფუძველზე“ ფარგლებში.

საკვანძო სიტყვები: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, ტემპერატურა, ნალექები

ლიტერატურა

1. საქართველოს ჰავა, ტომი 2. აფხაზეთი, ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტომი №112, 2006 წ